

ქართულ ენაში მომზადების
საუნივერსიტეტო პროგრამა და
ინტეგრაციის საკითხი
**Georgian Language Teaching into the
University Program and Integration**

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მეორე ენის სწავლება, ქართული, როგორც
მეორე ენა, ინტეგრაცია.

Keywords: second language teaching, Georgian as a second language,
integration.

ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები განკუთვნილია აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტებისათვის, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე ჩაბარებული გამოცდის შემდეგ ერთსაფეხურიან საუნივერსიტეტო პროგრამაზე სწავლობენ.

საუნივერსიტეტო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით 2018 წლიდან განსაზღვრულია სტუდენტთა საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით დაჯგუფება. კერძოდ, სტუდენტები პირველ სემესტრში დაჯგუფებულნი არიან სხვადასხვა ინტენსივობის მოდულებზე, რათა მეორე სემესტრში გათანაბრებულად გააგრძელონ სწავლა.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს კომპეტენციების სფეროებსაც, მათ შორის, ენობრივ კომპეტენციებს: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი. ასევე, ინტერკულტურულ კომპეტენციებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის სწავლებასთან ერთად შემსწავლელების ინტეგრაციაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. საუნივერსიტეტო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში მითითებულია, რომ სტუდენტებმა უნდა შეძლონ „ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა“.

ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში სწავლების დროს დიდი ყურადღება ეთმობა ენის სწავლებას ოთხი კომპონენტის: წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის მიხედვით, ასევე, ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას დარგობრივი ენის ასათვისებლად, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების სწავლებას, თუმცა ნაკლებად არის გათვალისწინებული ინტეგრაციის საკითხები, რაც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ქართულ ენობრივ და კულტურულ გარემოში გათვითცნობიერებას, ასევე, პრაქტიკულ საჭიროებებზე დაფუძნებული ლექსიკის გათავისებას და სხვა.

მეორე ენის სწავლების ევროპული გამოცდილება იცნობს ინტეგრაციული მეთოდებით სწავლებას რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, ქვეყნის მოკლე ისტორიის, მნიშვნელოვანი პრაქტიკული ელემენტების სწავლებას და სხვ,

მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამაში ყურადღება დაეთმოს თემას: „ვიცხოვროთ საქართველოში“, რომელიც შეასწავლის სტუდენტებს ფაქტებს საქართველოს შესახებ, ასევე, სახელმწიფო და კერძო სერვისებთან დაკავშირებულ ლექსიკასა და შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს სიმულაციური და სიტუაციური სწავლების მეთოდოლოგიის მიხედვით.

ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (#4084; მიღების თარიღი - 22/07/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.05.001.017899)
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლი (<https://info-parliament.ge/file/1/BillReviewContent/136798?>)
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatilebis.pdf)
- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #394 მიღების თარიღი 30/06/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.10.003.022108)

University educational programs of Georgian language teaching are designed for Azerbaijani, Abkhazian, Armenian and Ossetian-speaking entrants, who do not have a good command of the state language and study on a one-tier university program after passing the native language exam in the Unified National Examinations.

According to the sectoral characteristics of higher education of the specified university program, since 2018, a grouping of students according to initial language competencies has been determined. In particular, students in the first semester are grouped into modules of different intensity in order to continue their studies on equal ground in the second semester.

The sectoral characteristics of higher education also determine areas of competence, including language competences: writing, reading, listening, speaking, as well as intercultural competences. It is worth noting that the objective of the program, along with teaching the state language, is also the integration of students that is a crucial issue. In the sectoral characteristics of the university program, it is noted that students must be able to “get acquainted, appreciate and respect the Georgian linguistic and cultural identity and values.”

In the university programs of Georgian language teaching, a lot of attention is paid to language teaching in four components: writing, reading, listening and speaking, as well as integrated language and subject teaching for mastering the sectoral language, teaching tolerance and diversity, however integration issues are considered to a lesser extent that would help young people to be aware of the Georgian linguistic and cultural environment, as well as to acquire vocabulary based on practical needs, etc.

The European experience of teaching a second language is familiar with integrative methods of teaching in several areas, including teaching a brief history of the country, important practical elements, etc.

It is advisable to draw attention to the topic: “Let's Live in Georgia” in the university program of Georgian language teaching, which will teach students facts about Georgia, as well as vocabulary related to public and private services, and relevant language structures in accordance with the simulation and situational teaching method.

References:

Georgian Law on the State Language (# 4084; Date of adoption - 22/07/2015, registration code: 010030000.05.001.017899)

Georgian Law on General Education, Article 4 (<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/136798?>)

Georgian Law on Higher Education (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanonimaglesi-ganatilebis.pdf)

General description of Georgian language proficiency levels (Resolution # 394 of the Government of Georgia, date of adoption 30/06/2020, registration code: 0100-30000.10.003.022108)